



საქართველოს  
დაზღვევის სახელმწიფო  
ზედამხედველობის სამსახური

---

# განვითარების სტრატეგია

---

2025 - 2029



# საქმეში

## 5 შესავალი

## 6 კონცეპტუალური ჩარჩო

## 7 პრიორიტეტული მიმართულებები

### 8 პრიორიტეტული მიმართულება I ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა და განვითარება

### 13 პრიორიტეტული მიმართულება II საზედამხებელო საქმიანობის შემდგომი განვითარება

### 17 პრიორიტეტული მიმართულება III მომხმარებლის უფლებების დაცვა და ფინანსური განათლების მხარდაჭერა

### 19 პრიორიტეტული მიმართულება IV სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაღრმავება

## 22 დასკვნა



საქართველოს  
დაავადების სახელმწიფო  
ზედამხედველობის სამსახური



## შესავალი

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ - სამსახური/ორგანიზაცია), როგორც დამოუკიდებელი ორგანო, შეიქმნა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 მარტს შეტანილი ცვლილების საფუძველზე. სამსახური, როგორც სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე ორგანო, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.

სამსახური, კანონით განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, უზრუნველყოფს სადაზღვევო ბაზრის ფინანსურ სტაბილურობას, სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედობაუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის ხელშეწყობას. სამსახური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, მონაწილეობას იღებს დაზღვევის პოლიტიკის შემუშავების პროცესში. სამსახური მხარს უჭერს მომხმარებლის უფლებების დაცვას და კონკურენტუნარიანი სადაზღვევო გარემოს შექმნას, აქტიურად ჩართულია სადაზღვევო სისტემის დახვეწა-გაუმჯობესებისა და სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი დინამიური ზრდით ხასიათდება, დაზღვევის სფერო საკმაოდ სწრაფად და თანმიმდევრულად ვითარდება, რასაც განაპირობებს ტექნოლოგიური წინსვლა და საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილება (ცნობიერების ამაღლება) დაზღვევასთან მიმართებაში. ყოველწლიურად იზრდება სადაზღვევო საქმიანობიდან მოზიდული პრემია, სადაზღვევო ორგანიზაციები ცდილობენ დახვეწონ არსებული სადაზღვევო პროდუქტები და მომხმარებლებს შესთავაზონ მაღალი დონის მომსახურება. სამსახური ხელს უწყობს საქართველოს სადაზღვევო სექტორის სტაბილურ განვითარებას და შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ეროვნულ დონეზე ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი სადაზღვევო ბაზრისა და მაღალი სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბება მოითხოვს სამსახურის მიერ ქვეყნის მასშტაბით ეფექტიანი და კეთილსინდისიერი სადაზღვევო პრაქტიკების დამკვიდრების მხარდაჭერას. სექტორის განვითარების პროცესი ამაღდროულად საჭიროებს საერთაშორისო საუკეთესო მაგალითების გაანალიზებასა და თანამედროვე სადაზღვევო ტენდენციების გათვალისწინებას. აღნიშნული მიმართულებით სამსახური აქტიურად თანამშრომლობს წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, წარმოდგენილია საერთაშორისო დონეზე მოქმედ სამუშაო და სადისკუსიო პლატფორმებში. აღსანიშნავია თანამშრომლობა ევროკავშირთან, მიმდინარეობს სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ევროპული სტანდარტის „გადახდისუნარიანობა 2“-ის (Solvency II) ადაპტაცია-დანერგვაზე აქტიური მუშაობა, მათ შორის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების მხარდაჭერით.

სამსახური მუდმივად აფართოებს პარტნიორთა წრეს ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში. თანმიმდევრულად იხვეწება სამსახურის ორგანიზაციული საქმიანობა, იქმნება სადაზღვევო სექტორის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი ნორმატიული და ინსტიტუციური ბაზა, ასევე ეტაპობრივად ვითარდება სამსახურის საზედამხედველო მიდგომები და პრაქტიკები.



# კონცეპტუალური ჩარჩო

**მისია** - საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიის სტაბილური განვითარების ხელშეწყობა, ფინანსურად მყარი, გამჭვირვალე და მომხმარებლის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული სადაზღვევო სისტემის ინსტიტუციონალიზაცია - კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

საზედამხედველო საქმიანობის პროცესის სრულყოფისა და ასოცირების შეთანხმებით<sup>1</sup> გათვალისწინებული ევროდირექტივების სტანდარტების დასაწერად, სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის მომზადება.

**ფასეულობები და პრინციპები** - სამსახურის საქმიანობა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ღირებულებებსა და ფასეულობებს ეფუძნება, რაც მისი ეფექტიანი ფუნქციონირების წინაპირობაა და ორგანიზაციის საქმიანობის ზოგად სტანდარტებს აწესებს.

- **კეთილსინდისიერება** - საზედამხედველო აქტივობებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთიკურობის დაცვა და მიუკერძოებლობა, საჯარო ინტერესის პრიორიტეტიზაცია.
- **გამჭვირვალობა** - საზედამხედველო პოლიტიკისა და პროცედურების ღიაობა; ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან, დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებასთან გამართული კომუნიკაცია, კანონმდებლობით განსაზღვრული კონფიდენციალურობის წესის დაცვით.
- **სანდოობა და ანგარიშვალდებულება** - სადაზღვევო ინდუსტრიის ეფექტიანი და პასუხისმგებლიანი ზედამხედველობით საზოგადოებაში სანდოობის გაზრდა; მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება.
- **თანასწორობა** - თანასწორუფლებიანობის და განურჩევლობის დაცვა, ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა;
- **გუნდურობა** - საერთო მიზნის მისაღწევად ძალისხმევის გაერთიანება, ტოლერანტულობა და ურთიერთპატივისცემა.
- **მუდმივი განვითარება** - საზედამხედველო პრაქტიკების მუდმივი დახვეწა-გაუმჯობესება, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების მუდმივი გაცნობა, ადაპტირება და დანერგვა ქართულ რეალობაში; ტექნოლოგიური პროგრესის მიმდევრობა;
- **მომხმარებლის ინტერესების დაცვა** - მომხმარებლის უფლებების დაცვის პროცესის მუდმივი დაკვირვება, მომხმარებელზე ორიენტირებული რეგულაციების დანერგვა და ზედამხედველობა.

სამსახურის ღირებულებებისა და პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს, როგორც შიდა მმართველობის ეფექტიანობას, ასევე საზოგადოების ინტერესებზე მუდმივ ორიენტირებას.

<sup>1</sup> „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების XV-A დანართი (ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული წესები) B თავი (დაზღვევა).

# პრიორიტეტული მიმართულებები

დასახული მისიიდან და მიზნიდან გამომდინარე, სამსახურმა, 2025 – 2029 წლებისთვის, განსაზღვრა საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები<sup>2</sup> და შესრულებისთვის აუცილებელი ამოცანები.

## პრიორიტეტული მიმართულება I

ორგანიზაციის უფუძვინი მართვა და განვითარება

- ამოცანა 1 სტრატეგიული მართვის ციკლის ინსტიტუციონალიზაცია
- ამოცანა 2 ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემის შემდგომი განვითარება
- ამოცანა 3 ადმინისტრაციული საქმიანობის შემდგომი განვითარება
- ამოცანა 4 საინფორმაციო - ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარება
- ამოცანა 5 სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა
- ამოცანა 6 საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება

## პრიორიტეტული მიმართულება II

საზედამხედველო საქმიანობის შემდგომი განვითარება

- ამოცანა 1 საზედამხედველო პოლიტიკის დახვეწა-განვითარება
- ამოცანა 2 საზედამხედველო საქმიანობაში გადახდისუნარიანობა 2-ს (SOLVENCY II ) სტანდარტების დანერგვისთვის მომზადება
- ამოცანა 3 საზედამხედველო პროცესებისა და პროცედურების დახვეწა
- ამოცანა 4 საზედამხედველო პროცესების ეტაპობრივი ავტომატიზაცია
- ამოცანა 5 ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების პრევენციის მექანიზმების დახვეწა
- ამოცანა 6 სალიცენზიო/სარეგისტრაციო პროცესის წარმართვა
- ამოცანა 7 საზედამხედველო ნორმატიული ბაზის განვითარება

## პრიორიტეტული მიმართულება III

მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების მხარდაჭერა

- ამოცანა 1 მომხმარებლის უფლებების დაცვის ხელშეწყობა
- ამოცანა 2 ევრო დირექტივებთან ეტაპობრივი დაახლოება
- ამოცანა 3 მომხმარებლის დაცვის ეროვნული სტრატეგიის მხარდაჭერა
- ამოცანა 4 სადაზღვევო საკითხებზე ცნობიერების ამაღლება
- ამოცანა 5 ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მხარდაჭერა

## პრიორიტეტული მიმართულება IV

სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაღრმავება

- ამოცანა 1 ჯანსაღი კონკურენციის მხარდაჭერა
- ამოცანა 2 ეროვნულ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება
- ამოცანა 3 საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება
- ამოცანა 4 საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მუდმივი ანალიზი
- ამოცანა 5 დონორებთან კოორდინაციის განვითარება

პრიორიტეტების ნუმერაცია პირობითია, თითოეული პრიორიტეტი თანაბრად ემსახურება ორგანიზაციული მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.



# პრიორიტეტული მიმართულება I

## ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა და განვითარება

სამსახურის მისიის, მიზნისა და პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელება მოითხოვს ორგანიზაციის მხრიდან თანმიმდევრულ და ეფექტიან საქმიანობას. თანამედროვე მართვის სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს ორგანიზაციაში არსებული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და ჩართვას ორგანიზაციის განვითარების პროცესში.

თანამედროვე, მოქნილი ორგანიზაციული მართვის მეთოდები და პროცესები მნიშვნელოვნად ამარტივებს ბიუროკრატიულ წინააღმდეგობებს და ქმნის პირობებს ორგანიზაციის სტაბილური, თანმიმდევრული განვითარებისათვის.

ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის სისტემის დახვეწა-განვითარებისთვის მნიშვნელოვანია:

**ამოცანა 1 - სამსახურის სტრატეგიული მართვის ციკლის ინსტიტუციონალიზაცია**, რაც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ქვე-ამოცანებს:

### სამსახურის მართვის სტრატეგიის შემუშავება -

გულისხმობს სამსახურის მართვისთვის აუცილებელი კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებას და შესრულების სტრატეგიის განსაზღვრას. მართვის სტრატეგიის საფუძველზე შემუშავდება სამსახურის განვითარების სამოქმედო გეგმა და ორგანიზაციული მართვის სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები.

### გადანყვანილობის მიღების სისტემის დახვეწა

- თანამედროვე მართვის სისტემა გულისხმობს მმართველობის დელეგირებას და გადანაცვლებების მიღების პროცესში თანამშრომელთა ჩართულობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, სამსახური ჩამოაყალიბებს გადანაცვლებების მიღების მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე მომუშავე თანამშრომელთა შორის კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესებას.

**ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა** - მისიის, მიზნისა და ამოცანების განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციული ანალიზის პროცესის ჩატარება, რის საფუძველზეც მოხდება ადეკვატური, მოქნილი და ეფექტიანი ორგანიზაციის მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

**ამოცანა 2 - ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემის შემდგომი განვითარება** - უზრუნველყოფს რესურსების ეფექტურ და რაციონალურ გადანაწილებას ორგანიზაციაში და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის, საჭირო დროს, სათანადო თანამდებობაზე რეკრუტირებას, განვითარებასა და შენარჩუნებას. აღნიშნული მიდგომის შედეგად შესაძლებელი გახდება თითოეული თანამშრომლის რესურსის მაქსიმალური გამოვლენა და ჩართვა ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში.

ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემის დახვეწა მოითხოვს შემდგომი პროცესების პრიორიტეტიზაციას:

**ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო შემუშავება** - სახელმძღვანელო განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, ადამიანური რესურსების კომპონენტების მიზნებს, მათ განხორციელების სქემებსა და გეგმებს;

**ორგანიზაციული ანალიზის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია** - ორგანიზაციული ანალიზის პროცესი გულისხმობს ორგანიზაციის მისიის, მიზნისა და ამოცანების ანალიზს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და პერსონალის სამუშაო ფუნქციებთან მიმართებაში. ორგანიზაციული ანალიზის პროცესის მიზანია დადგინდეს რამდენად ადეკვატურად ასახავს

ორგანიზაციული სტრუქტურა ორგანიზაციის მიერ დასახულ ამოცანებს, რამდენად რაციონალურად არის ჩაშლილი პერსონალის ფუნქციებში ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების ხედვა და რამდენად აქვს ორგანიზაციას მზაობა არსებული სტრუქტურული ფორმებითა და ფუნქციონალური პროფილებით შეასრულოს დასახული სტრატეგიული ამოცანები. ორგანიზაციული ანალიზის პროცესის ინსტიტუციონალიზაციისთვის მნიშვნელოვანია: ორგანიზაციული აღწერების შემუშავება და არსებული სამუშაოს აღწერების მუდმივი განახლება.

**შეფასების/სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის სისტემის დახვეწა/განვითარება** -

ემსახურება დასაქმებულ პირთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას. შეფასება შესაძლებელს ხდის თანამშრომლის კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან მიმართებაში, ავლენს თანამშრომელთა პოტენციალს და პროფესიული განვითარების საჭიროებებს. შეფასება ხელს უწყობს ობიექტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უფროსსა და თანამშრომელს შორის. სამუშაოს შესრულების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის მოტივაცია, რომელიც არსებითად არის დამოკიდებული თუ რამდენად ადეკვატურად ფასდება მის მიერ შესრულებული სამუშაო. შეფასების პროცესის შედეგები არის ინფორმაციის საუკეთესო წყარო თუ რა მიმართულებით და გზებით უნდა შეძლოს თანამშრომელმა პროგრესის მიღწევა. აღნიშნული მართვის სტრატეგიისა და ადამიანური რესურსების სახელმძღვანელოს საფუძველზე სამსახურის მიერ იგეგმება არსებული შეფასების სისტემის დახვეწა.

**პროფესიული განვითარების მხარდაჭერა** -

ორიენტირებულია თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, სამუშაოს სპეციფიკით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების მაღალი ხარისხით შესასრულებლად. პროფესიული განვითარების

სივრცის არსებობა თანამშრომელთა ბუნებრივ მოტივაციის წყაროსაც წარმოადგენს. სამსახური გეგმავს პროფესიული განვითარების ციკლის ინსტიტუციონალიზაციას, რაც თავის მხრივ მოიცავს ყოველწლიურად ტრენინგ საჭიროების დადგენას, საჭიროებაზე დაყრდნობით სასწავლო პროცესების დაგეგმვა - განხორციელებას, ტრენინგის შედეგების ანალიზს ორგანიზაციის ამოცანებთან მიმართებაში. სამსახური ასევე გეგმავს ადგილობრივი ტრენინგ შესაძლებლობების განვითარებას და სატრენინგო ცენტრის ეტაპობრივ ჩამოყალიბებას, რათა ერთი მხრივ ხელი შეუწყოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივ განვითარებას, ამავდროულად უზრუნველყოს დაზღვევის სფეროს სპეციალისტების მომზადება-გადამზადება, სამუშაო ბაზარზე არსებული სპეციალისტების დეფიციტის გათვალისწინებით.

**კარიერის მართვა** - ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი ციკლის ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომელთა კარიერის მართვა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადაადგილების კარიერული სქემების შემუშავება. სამსახური გეგმავს, სამუშაოთა ჯგუფების (Job Family) იდენტიფიცირებას და მის საფუძველზე HR პროცესების, მათ შორის კარიერის მართვის პროცესის გაანალიზებას.

**ორგანიზაციული კულტურის განვითარება**

- სამუშაო გარემო და ორგანიზაციაში არსებული საქმიანობის კულტურა მნიშვნელოვნად აისახება ორგანიზაციის შედეგებზე. თანამედროვე მართვის მოდელის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ იგეგმება შიდა ორგანიზაციული გამოკითხვების ორგანიზება, გასაუმჯობესებელი ასპექტებისა და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით. ორგანიზაციული კულტურის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ჯანსაღი საკომუნიკაციო გარემოს შექმნა და გუნდური მუშაობის ხელშეწყობა.



**ამოცანა 3 - ადმინისტრაციული საქმიანობის შემდგომი განვითარება** - თანამედროვე მართვის სისტემა გულისხმობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული რესურსების მართვის ციკლის არსებობას ორგანიზაციაში, სამსახურის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებისთვის არსებული რესურსების ანალიზისა და მის საფუძველზე რესურსების მართვის გეგმების (მათ შორის ალტერნატიული) შემუშავებას. ადმინისტრაციული საოპერაციო ციკლის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, სამსახურის მიერ დაგეგმილია/ხორციელდება:

**ბიუჯეტირების სისტემის მართვა** - ფინანსური ჩარჩოების გათვალისწინებით, ორგანიზაციის საქმიანობის უზრუნველსაყოფად ფინანსების რაციონალურად განაწილება, ბიუჯეტის შემუშავება და მისი შესრულების კოორდინაცია.

**მეცხედროების სისტემის მართვა** - განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანების და ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე სამსახური შეიმუშავებს შესყიდვების გეგმას და კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს შესყიდვების გეგმის განხორციელებას.

**მათერიალურ-თეხნიკური ბაზის მართვა** - სამსახურის შეუფერხებელი მუშაობისთვის მნიშვნელოვანია გამართული მატერიალური-ტექნიკური ბაზა, მისი შენარჩუნება და მუდმივი განახლება. სამსახური გეგმავს კომპიუტერული ტექნიკის (მასთან დაკავშირებული ატრიბუტიკა) ბაზის განახლებას.

**ინფრასტრუქტურის განვითარება** - სამსახურის განვითარების და გაფართოების პარალელურად, საჭირო ხდება ადეკვატური საოფისე ფართის არსებობა. სამსახურის არსებული და სამომავლო სტრუქტურის

გათვალისწინებით მნიშვნელოვანია შემუშავდეს ინფრასტრუქტურის გაფართოების, განახლების, შესყიდვის თუ აშენების ალტერნატიული გეგმები და ოპტიმალური ვერსიები.

**შრომის უსაფრთხოების გეგმის განხორციელების კოორდინაცია** - თანამედროვე მართვის მოთხოვნების, კანონმდებლობისა და ორგანიზაციული საჭიროებების გათვალისწინებით სამსახურის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების გეგმა, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს კომპეტენტური პირებისა და თანამშრომლების ჩართულობით, პუნქტების ზედმინევით შესრულებას.

**ამოცანა 4 - საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარება** - ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემა კომპლექსურად დაკავშირებულია მართვის ყველა პროცესთან, შესაბამისად, მისი გამართვა და ეფექტიანი ფუნქციონირება აისახება ორგანიზაციის შედეგებზე. აღნიშნული მიმართულებით სამსახურის მიერ დაგეგმილია და ხორციელდება:

**ინფორმაციულ-თეხნოლოგიური საშუალოების უზრუნველყოფა** - სისტემატურად ხორციელდება სამსახურის საინფორმაციო - ტექნოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული ამოცანების უზრუნველყოფა, კერძოდ: სერვერებისა და მონაცემთა ბაზების სრულყოფილად მუშაობის უზრუნველყოფა, ლოკალური ქსელის პროგრამული მომსახურება და ადმინისტრირება, ასევე კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტის ქსელის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საქმიანობები და ა.შ.

### **თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შეფასება და მოთხოვნისამებრ დანერგვა**

- ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანობის მუდმივი ანალიზი სამსახურის საქმიანობის დახვეწის პოტენციალის გათვალისწინებით, რათა საჭიროების შემთხვევაში ინოვაციური მართვის ინსტრუმენტებისა და შესაძლებლობების დანერგვით განხორციელდეს ორგანიზაციული საქმიანობის შედეგების გაუმჯობესება.

### **ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა**

- მოითხოვს რისკებზე დაფუძნებული ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვას და მუდმივ განვითარებას, რისთვისაც აუცილებელია წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით რისკების კომპლექსური შეფასება და შესაბამისი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება. ამ პროცესის ორგანიზებისთვის სამსახური გეგმავს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვას ISO 27001 სტანდარტის მიხედვით, რაც თავის მხრივ მოიცავს სისტემის მართვის პროცესების და პროცედურების გაწერასა და კონტროლის მექანიზმების შემუშავებას. აღნიშნული ამოცანის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია ორგანიზაციის მენეჯმენტის მხარდაჭერა და რესურსების (ფინანსური, ადამიანური) მობილიზება. მნიშვნელოვანია ფუნქციონირება გააგრძელოს ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭომ, რომლის მიზანია სამსახურში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) ეფექტიანი, უწყვეტი და გამართული ფუნქციონირების, დადგენილ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობისა და ადეკვატურობის უზრუნველყოფა.

**ამოცანა 5 - ორგანიზაციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა** - სამსახურში არსებული საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკების მუდმივად განვითარება საკანონმდებლო სიახლეებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. გაგრძელდება მზღვევლებსა და ზედამხედველობას შორის წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების განხილვებში აქტიური ჩართულობა, ასევე სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა - კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღება, სამართლებრივი დასკვნების, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების შემუშავება. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია:

**იურიდიული დეპარტამენტის ფუნქციონალური ჩარჩოს შემდგომი ანალიზი;**

**საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესის მხარდასაჭერად შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებისა და მოსაზრებების შემუშავება.**



**ამოცანა 6 - საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება** - ორგანიზაციის შიდა და გარე კომუნიკაციის გამართული ციკლი მნიშვნელოვნად აისახება სამსახურის პროდუქტიულობაზე. ორგანიზაციის ფარგლებში გამართული კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო ფორმატების ინსტიტუციონალიზაცია, რაც უზრუნველყოფს გუნდის წევრების ინფორმირებულობას და ჩართულობას სამსახურის მიზნისა და ამოცანების განხორციელების პროცესში.

ორგანიზაციის ეფექტიანი გარე საკომუნიკაციო პროცესი მხარს უჭერს დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას, საზოგადოებაში სამსახურის სანდოობის გაზრდას, ასევე ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და მომხმარებლებთან უწყვეტ კავშირს. აღნიშნული პროცესების გასაუმჯობესებლად მიმდინარეობს/დაგეგმილია:

**ორგანიზაციის საკომუნიკაციო პროცესის განვითარება** - მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ცნობადობის და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებისთვის, ასევე დაინტერესებულ მხარეებსა და მომხმარებლის უწყვეტი კოორდინაციის უზრუნველსაყოფად; სამსახურის მიერ ხორციელდება/დაგეგმილია:

**საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი გუნდის ჩამოყალიბება** - პასუხისმგებელია საკომუნიკაციო მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასა და მათი განხორციელების კოორდინაციაზე.

**დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია** - მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გეგმის განსაზღვრა და სამსახურის საკომუნიკაციო არხების სტრატეგიის შესაბამისად გამოყენება.

**ვებ-გვერდის გაშვება** - მომხმარებლის და საზოგადოებასთან უწყვეტი კომუნიკაციის მხარდასაჭერად და სამსახურის პოზიტიური იმიჯის შენარჩუნება-განვითარებისთვის არსებული ვებ-გვერდის გაშვება და ეფექტიანად მართვა.

**სოციალური მედიის უსაქის (FACEBOOK, LINKEDIN) ამოუშვდება** - სამიზნე აუდიტორიისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებისათვის, სამსახურის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით, ასევე საგანმანათლებლო და საინფორმაციო შინაარსის თემატიკის გაზიარებისთვის დაგეგმილია შესაბამისი პლატფორმის ამოქმედება და მართვა.

## პრიორიტეტული მიმართულება II

### საზედამხედველო საქმიანობის შემდგომი განვითარება

სამსახურის საკვანძო ფუნქციას სადამღვევო ბაზარზე მოქმედი საზედამხედველო სუბიექტების, მათ შორის ნებაყოფლობითი კერძო სააგენტო სქემების ზედამხედველობა წარმოადგენს, რაც მოითხოვს საზედამხედველო მარეგულირებელი ჩარჩოს, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის მუდმივ დახვეწას, ასევე საზედამხედველო პროცესისა და პროცედურების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად განვითარებას. საზედამხედველო პროცესი მოიცავს ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მდგრადობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის შეფასება/ანალიზს, რისკების მართვის სისტემის შეფასებას, სუბიექტების ფინანსურ და სადამღვევო საქმიანობის მონიტორინგსა და გამართულ კოორდინაციას. საზედამხედველო პროცესის ნაწილს ასევე წარმოადგენს ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება და მონიტორინგი. სამსახურის შედეგიანობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, იგეგმება:

**ამოცანა 1 - საზედამხედველო პოლიტიკის დახვეწა-განვითარება.** საზედამხედველო პოლიტიკა განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის მიმართულებებს, პრინციპებს, მეთოდებსა და პოლიტიკის განხორციელების შეფასების ინდიკატორებს. მიმდინარე ეტაპზე სამსახურში მოქმედებს შესაბამისობაზე დაფუძნებული საზედამხედველო პოლიტიკა. დამღვევის სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციებისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში განსაზღვრული ვალდებულებების გათვალისწინებით, არსებული საზედამხედველო პოლიტიკა ეტაპობრივად გადავა რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპზე და დაინერგება შესაბამისი სტანდარტები.

რისკზე დაფუძნებული საზედამხედველო პოლიტიკა ზრდის ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის შესაძლებლობებს და ამცირებს სადამღვევო სუბიექტების რეპუტაციული ზიანის რისკებს. რისკზე დაფუძნებული საზედამხედველო პოლიტიკა გულისხმობს პროაქტიულ და პრევენციულ (მათ შორის მდგრადობაზე, გარემოს დაცვაზე, სოციალურ და მმართველობითი საკითხების დახვეწაზე (ESG)) ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას, რაც ზრდის სადამღვევო სუბიექტების თვითრეგულირების სივრცეს, რეგულატორის სრული მხარდაჭერის პირობებში. რისკზე დაფუძნებული მმართველობა ხელს უწყობს სადამღვევო ბაზრის შემდგომ განვითარებას, ქმნის სფეროს მდგრადი განვითარების წინაპირობებს და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს. იგეგმება:

- საზედამხედველო პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ჩამოყალიბება;
- პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის შემუშავება;
- დაინტერესებული მხარეების და ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა და გაცნობა;
- დოკუმენტის მიღება - დამტკიცება.



**ამოცანა 2 - საზედამხედველო საქმიანობაში გადახდისუნარიანობა 2-ის (Solvency II) სტანდარტების დანერგვის მომზადება.** აღნიშნული პროცესი მოიცავს რიგ ქვე-ამოცანებს, რათა ეტაპობრივად განხორციელდეს საზედამხედველო პროცესის სრულყოფა ევრო დირექტივებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

- საკანონმდებლო ჩარჩოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განხილვა-ანალიზი;
- გადახდისუნარიანობა 2-ის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი პროცესების, ეტაპებისა და ვადების განსაზღვრა;
- გადახდისუნარიანობა 2 სტანდარტის ეტაპობრივი დანერგვა.

**ამოცანა 3 - საზედამხედველო პროცესებისა და პროცედურების დახვეწა** - რისკზე დაფუძნებული საზედამხედველო პოლიტიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკების ანალიზი და ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან კოორდინაციის ციკლის, პროცესისა და პროცედურების განსაზღვრა-დახვეწა. დაგეგმილია:

- არსებული პრაქტიკების და სტანდარტული პროცედურების გაანალიზება - შესაძლებლობების და ნაკლოვანებების შესწავლა;
- დისტანციური ზედამხედველობის/ადგილზე ინსპექტირების პროცესების და პროცედურების დანერგვა-განხორციელებისთვის ინსტრუქციების/სახელმძღვანელოების მომზადება გადახდისუნარიანობა 2-ის გათვალისწინებით;

- პრევენციულ მიზნებზე მორგებული საზედამხედველო პროცესებისა და პროცედურების შემუშავება-დანერგვა;

**ამოცანა 4 - საზედამხედველო პროცესების ეტაპობრივი ავტომატიზაცია** - სფეროს განვითარების დინამიკა და ტექნოლოგიური პროგრესი მოითხოვს საზედამხედველო საქმიანობის ტრანსფორმაციას. მზარდი ინფორმაციის პირობებში სამუშაოს წინდახედული და გონივრული შესრულების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია საზედამხედველო ტექნოლოგიების (SupTech) დანერგვა, შემდეგი პრიორიტეტულობით:

- საზედამხედველო ანგარიშების მიღებისა და დამუშავების კომპონენტის საზედამხედველო ტექნოლოგიების (SupTech) ეტაპობრივი დანერგვა;
- საზედამხედველო სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროგრამული უზრუნველყოფის სხვა კომპონენტების ეტაპობრივი დანერგვა.

**ამოცანა 5 - ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მექანიზმების დახვეწა** - სამსახური აქტიურად მუშაობს აღნიშნული მიმართულების განვითარებაზე, რისთვისაც მიმდინარეობს და დაგეგმილია:

- ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მუდმივი კოორდინაცია;

- დისტანციური და ციფრული მომსახურების განვითარების პარალელურად გაზრდილი რისკების შეფასება;
- საერთაშორისო მოთხოვნებისა და გამოვლენილი რისკების საფუძველზე საზედამხედველო ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის განახლება.
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, თანამედროვე პრაქტიკების შესწავლა-ანალიზი და გამოცდილების გაზიარება.

**ამოცანა 6 - სალიცენზიო/სარეგისტრაციო პროცესების წარმართვა** - ჯანსაღი სადაზღვევო ბაზარი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კვალიფიციური, სანდო, ინსტიტუციონალურად გამართული, გამჭვირვალე და ეფექტური მართვის სისტემის მქონე საზედამხედველო სუბიექტების არსებობაზე. აღნიშნული მიმართულებით სამსახური უზრუნველყოფს:

- დაზღვევის, გადაზღვევის და ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიების გაცემას და გაუქმებას;
- ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემის რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებას;
- დაზღვევის სფეროში საშუაშალო საქმიანობის რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმების პროცესების წარმართვას;
- შემდგომში სალიცენზიო და სარეგისტრაციო

მოთხოვნების შესრულების კონტროლს;

- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების (მზღვევლების) მნიშვნელოვანი წილის/აქციების შეძენის ფინანსური მდგომარეობის შესწავლას გარიგების ღირებულების ფარგლებში, ასევე მათ რეპუტაციულ შესწავლას და თანხმობის გაცემას გარიგებებზე;
- ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მართვის და ხელმძღვანელობითი ორგანოების წევრების (აქციონერების, ადმინისტრატორების) შესაბამისობის დადგენას კანონით გათვალისწინებულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან.

**საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს/დაგეგმილია:**

- სადაზღვევო საქმიანობის სალიცენზიო და სარეგისტრაციო პროცესების დახვეწა-განვითარება - აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელია პროცესებისა და პროცედურების სრულყოფა, ევროდირექტივების მოთხოვნების იმპლემენტაციისათვის შესაბამისი სამუშაოების განხორციელება;
- ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზირებისა და კერძო საპენსიო სქემების რეგისტრაციის პროცესის დანერგვა - „ნებაყოფლობითი კერძო პენსიების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის საფუძველზე იგეგმება კერძო საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელი არსებული სუბიექტების მიერ ახალ საკანონმდებლო



მოთხოვნებთან საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანის პროცესის წარმართვა, რეგისტრირებული საპენსიო სქემების რეგისტრაციის პროცესის წარმართვა, ასევე კერძო საპენსიო საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების შემუშავება-დანერგვა. დაზღვევის დისტრიბუციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 20 იანვრის დირექტივის (EU) 2016/97 (IDD) იმპლემენტაციისათვის საჭირო პროცესების მხარდაჭერა და სამუშაოების დაწყება, მათ შორის საერთაშორისო ჩართულობის უზრუნველყოფა.

- სადაზღვევო სფეროს მარეგულირებელი, მეთოდოლოგიური/სარეგულაციო ხასიათის დოკუმენტების შემუშავება (შემუშავებაში მონაწილეობა);
- საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, ზედამხედველობის/რეგულირების საერთაშორისო ტენდენციების, საუკეთესო პრაქტიკის და მიდგომების შესწავლა-ანალიზი;
- დაზღვევის პრიორიტეტული სავალდებულო სახეობების განსაზღვრა და მათი დანერგვის პროცესების ინიცირება. (მაგ.: სიცოცხლის დაზღვევა, აგრო დაზღვევა, მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა).

**ამოცანა 7 - საზედამხედველო ნორმატიული ბაზის განვითარება** - სამსახურის ეფექტიანი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ნორმატიული ბაზის მუდმივი ანალიზი და განახლება, ასევე, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი და ბაზრის მოთხოვნებსა და განვითარებაზე ორიენტირებული ნორმატიული ბაზის შემუშავება. აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით, სამსახურის მიერ დაგეგმილია:

- არსებული ნორმატიული ბაზის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების ინიცირება და ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება;
- ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის უზრუნველყოფა;

## პრიორიტეტული მიმართულება III

### მომხმარებლის უფლებების დაცვის და ფინანსური განათლების მხარდაჭერა

სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტს მომხმარებლის უფლებების დაცვა წარმოადგენს, რაც მოიცავს საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების ზედამხედველობას, ევროკავშირის დირექტივებით განსაზღვრულ სტანდარტებთან დაახლოებას მათი შესრულების ეფექტური მექანიზმების შემუშავებასა და ფინანსური განათლების ხელშეწყობას. მომხმარებლის უფლებების დაცვის სისტემური მხარდაჭერა ხელს უწყობს სადაზღვევო პროდუქტების განვითარებას, კონკურენციის ზრდას და შესაბამისად, სადაზღვევო სექტორის გაძლიერებას. სადაზღვევო პროდუქტების და სადაზღვევო ურთიერთობებში უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მომხმარებლის უფლებების რეალიზების წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულების შემდგომი გაძლიერებისთვის სამსახურის მიერ მიმდინარეობს/ იგეგმება შემდეგი ამოცანების განხორციელება:

**ამოცანა 1 - მომხმარებლის უფლებების დაცვის ხელშეწყობა** - მოიცავს მომხმარებლის ინტერესების დაცვის პროცესის ზედამხედველობას. მნიშვნელოვანია მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე მკაფიოდ განსაზღვრული მიდგომების არსებობა დამათი ინტეგრირება სამსახურის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ბაზაში. მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნეს ქცევის არსებობა მოითხოვს სისტემური მონიტორინგის საშუალებების დანერგვას. თანამედროვე სადაზღვევო ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს პრევენციულ ღონისძიებებზე, აღნიშნული პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურში დაგეგმილია:

- საკანონმდებლო ბაზის ანალიზი/დახვეწა;
- მომხმარებლის უფლებების დაცვასა და პრევენციაზე ორიენტირებული, თანამედროვე და მოქნილი საზედამხედველო მეთოდების განსაზღვრა-დანერგვა;
- სტანდარტული პროცესებისა და პროცედურების შემუშავება და ინსტიტუციონალიზაცია;
- სისტემური მონიტორინგისა და სტატისტიკის ანალიზის ფუნქციონალის დანერგვა;

**ამოცანა 2 - ევრო დირექტივებთან ეტაპობრივი დაახლოება** - აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია, განხორციელდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და განისაზღვროს მომხმარებლის უფლებების დაცვის პრიორიტეტული საკითხები, მათი ეტაპობრივი დანერგვის მიზნით. აღნიშნული მიმართულებით სამსახურში დაგეგმილია:

- IDD-ის მოთხოვნების დეტალური ანალიზი და მისი ეტაპობრივი დანერგვის მხარდაჭერა.
- გადახდისუნარიანობა 2 - ის ( Solvency II) მხარდაჭერა, IDD-ის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა;
- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება/ დახვეწა;



**ამოცანა 3** - „მომხმარებლის დაცვის ეროვნული სტრატეგიის“ დანერგვის მხარდაჭერა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში მომხმარებლის დაცვის ერთიანი სტანდარტების და მიდგომების დანერგვის მიზნით, „მომხმარებლის დაცვის ეროვნული სტრატეგიის“ მხარდაჭერა და სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება. ამ მიმართულებით იგეგმება:

- სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიების გატარება.
- მომხმარებლის დაცვის თაობაზე დოკუმენტით განსაზღვრული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ხელშეწყობა;
- სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და ანგარიშების წარდგენა.

**ამოცანა 4** - სადაზღვევო საკითხებზე ცნობიერების ამაღლება მომხმარებლის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, ვინაიდან ინფორმირებული მომხმარებელი ეტაპობრივად აყალიბებს ფინანსურ საკითხებში ინფორმირებულ საზოგადოებას. მომხმარებლის ინფორმირება უზრუნველყოფს ადეკვატური მოლოდინების ჩამოყალიბებას და მომხმარებლისთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობაზე ხელმისაწვდომობის ზრდას. გაცნობიერებული, ინფორმირებული არჩევანის გაკეთების მიზნით, მნიშვნელოვანია მომხმარებელს ჰქონდეს ცოდნა სადაზღვევო პროდუქტებისა და სერვისების თაობაზე. სამსახური ხელს უწყობს დაზღვევის მიმართულებით მომხმარებლის ცნობიერების ამაღლებას, რაც განგრძობითი პროცესია და საჭიროებს მუდმივ აქტივობებს. აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს/იგეგმება:

- სამიზნე აუდიტორიის სეგმენტაცია და მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა;
- დაზღვევის სფეროში ფინანსური განათლების მხარდაჭერა მასალების მოძიება, მომზადება, გავრცელების ხელშეწყობა;
- ცნობიერების ამაღლებისადმი მიძღვნილი ყოველწლიური დაზღვევის კვირეულის ფორმატის ინსტიტუციონალიზაცია;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- დაცვის განხილვის ალტერნატიული მექანიზმების წახალისება;
- მიკრო-დაზღვევის პროდუქტების შემუშავების მხარდაჭერა;

**ამოცანა 5** - „ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის“ მხარდაჭერა-დოკუმენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის განმახორციელებელი კომიტეტი. სამსახური, როგორც აღნიშნული კომიტეტის წევრი, მონაწილეობს კომიტეტის შეხვედრებში, წარადგენს ინიციატივებს და აქტიურად არის ჩართული სტრატეგიის ფარგლებში სამწლიანი გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, დაგეგმილია:

- „ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიით“ გათვალისწინებული ყოველწლიური ღონისძიებების მხარდაჭერა;
- სტრატეგიით გათვალისწინებულ მოწყვლადი ჯგუფებისთვის შემცნებითი, საინფორმაციო მასალის შემუშავება და აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- ფინანსური ჩართულობის (ინკლუზია) მხარდაჭერა.

## პრიორიტეტული მიმართულება IV

### სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაღრმავება

ეფექტიანი კოორდინაცია დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორებთან, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, ვინაიდან ხელს უწყობს სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარებას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. სადაზღვევო ინდუსტრიაში ჯანსაღი კონკურენციისა და სამართლიანი, გამჭვირვალე სადაზღვევო პრაქტიკების დანერგვის ნახალისებით, სამსახური ხელს უწყობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სადაზღვევო კულტურის ეტაპობრივ დანერგვას და სადაზღვევო პროდუქტების მიმართ ნდობის გაზრდას საზოგადოებაში.

სამსახურის და ზოგადად დაზღვევის ზედამხედველობის სფეროს შემდგომი განვითარება, ასევე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საერთაშორისო თანამშრომლობაზე და პარტნიორებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში არსებული კოორდინაციის ხარისხზე. შესაბამისად, სამსახური ახორციელებს ინტენსიურ მუშაობას საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების მიმართულებით. ინდუსტრიისა და სადაზღვევო სფეროში თანამშრომლობის განვითარების მხარდასაჭერად, სამსახურის მიერ იგეგმება/მიმდინარეობს შემდეგი ამოცანების განხორციელება:

**ამოცანა 1 - სადაზღვევო სფეროში ჯანსაღი კონკურენციის მხარდაჭერა** - სამსახური ხელს უწყობს დინამიკური და ეფექტიანი სადაზღვევო გარემოს, სტაბილური და მომხმარებლის უფლებებზე ორიენტირებული ინდუსტრიის ჩამოყალიბებას. ჯანსაღი კონკურენციის ნახალისების მიზნით სამსახურის მიერ, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაგეგმილია:

- სადაზღვევო სფეროს საზედამხედველო პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში იმგვარი მექანიზმების ინტეგრირება, რომელიც შეამცირებს სადაზღვევო ბაზარზე - რისკებს და უზრუნველყოფს მრავალფეროვანი და ადეკვატური ღირებულების/ფასის სადაზღვევო პროდუქტებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას;
- მომხმარებლის უკმაყოფილებების შემთხვევების სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის შედეგად მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირება, სამომხმარებლო ბაზრის კვლევების ნახალისება და მიღებული მონაცემების ინტეგრირება სამსახურის საქმიანობის პროცესში.

**ამოცანა 2 - ეროვნულ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება** - დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია მოითხოვს ეფექტიანი საკოორდინაციო ფორმატების ჩამოყალიბება-ინსტიტუციონალიზაციას, შესაბამისად დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად სამსახურის მიერ ეროვნულ დონეზე იგეგმება:

- დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციის მეთოდოლოგიის განსაზღვრა - პარტნიორების პრიორიტეტიზაცია და დაჯგუფება, კოორდინაციის მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი თანამშრომლობის ფორმატ(ებ)ის ჩამოყალიბება.
- დაინტერესებულ მხარეებთან საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობის გეგმის შემუშავება, ერთობლივი გეგმის დასახვა და აღსრულების პროცესის ფასილიტაცია.



**ამოხანა 3 - საერთაშორისო თანამშრომლობის გადრეკება** - საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამსახური გეგმავს პარტნიორების წრის გაფართოებასა და მათთან დინამიური საერთაშორისო ურთიერთობების პროცესის გაგრძელებას. საქართველოს დაზღვევის სფეროს შესაძლებლობების განვითარების პროცესში სამსახურის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატების ეფექტიანი გამოყენებისთვის მიმდინარეობს-დაგეგმილია:

- პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნება** - სამსახური განაგრძობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და კავშირების შენარჩუნება-გამყარებას მის ძირითად პარტნიორებთან და კერძოდ: ევროკავშირთან (EU), მსოფლიო ბანკსა (WB) და აზიის განვითარების ბანკთან (ADB). გაგრძელდება თანამშრომლობა ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან როგორიცაა: დაბლვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაცია (IAIS), IAIS-ის ფარგლებში იმპლემენტაციის და შეფასების კომიტეტი (IAC - Assessment and Implementation Committee), საპენსიო ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაცია (IOPS - International Organisation of Pension Supervisors), აღმოსავლეთ ევროპის რისკის დაბლვევის ასოციაცია (EERIA - Eastern European Risk Insurance Association); მედია სააგენტო „XPRIMM“, რომელიც სპეციალიზირებულია დაბლვევის/გადაბლვევის, დაბლვევის საშუაშვლო და ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის საკითხებზე.
- პოტენციური პარტნიორების მოძიება და მათთან თანამშრომლობის მიზანშეწონილობის ანალიზი;**

- **ურთიერთთანამშრომლობის გაფორმება** პარტნიორი ქვეყნების დაზღვევის ბედამხედველ უწყებებთან;
- **გადახდისუნარიანობა 2-ის (SOLVENCY II)** დირექტივის მოთხოვნების დანერგვისთვის სამსახურის მიერ ხორცი-ელდება მოსამზადებელი სამუშაოების განსაზღვრა - მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზნების და ამოცანების იდენტიფიცირება. საჭიროების შემთხვევაში განხორცი-ელდება საერთაშორისო ექსპერტებთან კოორდინაცია, პარტიორებისა და დონორების მოზიდვა და ჩართულობა პროცესის ეფექტიანად ფასილიტაციისა და განხორციელების პროცესში;
- **აქტიური ჩართულობა პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კითხვარების და კვლევების დამუშავებაში.**
- **IAIS-ის თვითშეფასების ონლაინ პროგრამაში ჩართულობა** - მნიშვნელოვანია მოხდეს დაზღვევის ფუძემდებლურ პრინციპებთან (ICP) შესაბამისობის დადგენა და საქართველოს სადაზღვევო სისტემის/კანონმდებლობის ეტაპობრივი განვითარება მოცემულ მოთხოვნებთან მიმართებით.



**ამოცანა 4 - საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მუდმივი ანალიზი** სამსახურისა და დაზღვევის სფეროს უწყვეტი განვითარება მოითხოვს საერთაშორისო ტენდენციების მუდმივ ანალიზს, დინამიკისა და ტრენდების ადეკვატურად შეფასებას ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ნორმატიული და ინსტიტუციური ბაზის განვითარების უზრუნველსაყოფად, სამსახურის მიერ დაგეგმილია:

- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა და ადაპტირების შესაძლებლობების ანალიზი;
- საერთაშორისო სწავლებებში, კონფერენციებში და სადისკუსიო ღონისძიებებში თანამშრომელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. სამსახური გააგრძელებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, როგორცაა დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის და ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტის ეგიდით (FSI - Financial Stability Institute) ყოველწლიურად ჩატარებულ ონლაინ სასწავლო კურსში თანამშრომლების ჩართულობა, A2ii-ისთან (Access to insurance initiative) (აღნიშნული ორგანიზაცია დაარსდა IAIS-ის ინიციატივით და ახორციელებს ინკლუზიური დაზღვევას, ისევე როგორც IAIS-ის დაზღვევის სტანდარტების დადგენაში), ამერიკის შეერთებული შტატების დაზღვევის ზედამხედველთა ეროვნული ასოციაციის (NAIC - National Association of Insurance Commissioners) სასწავლო პროგრამაში „International Fellows Online Program“, ასევე მოიძიებს ახალ ფორმატებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად.

**ამოცანა 5 - დონორებთან კოორდინაციის გაღრმავება** სამსახური ეტაპობრივად ვითარდება და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სადაზღვევო სისტემის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების როლი და მხარდაჭერა. სამსახურის მიერ წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიმდინარეობს-იგეგმება:

- სამსახურის საჭიროებების ანალიზი, რომელთა გადაჭრაშიც შესაძლებელია დონორთა ძალისხმევის მობილიზება;
- დონორების შესაძლებლობების და სამსახურის მოთხოვნების ანალიზის გათვალისწინებით საპროექტო წინადადების მომზადება; დონორებთან ერთად პროექტების მოთხოვნების დამუშავება, გეგმების განსაზღვრა და განხორციელება;
- თანამშრომლობის გაგრძელება-გაღრმავება არსებულ დონორ ორგანიზაციებთან, კერძოდ: მსოფლიო ბანკი (WB), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID); ევროკავშირის დახმარების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება (TAIEX, TWINNING);
- არსებული თანამშრომლობის შეფასება, სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტების ანალიზი - მნიშვნელოვანია ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით დაიგეგმოს მომდევნო ნაბიჯები და აქტივობები.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ეფექტიანად განხორციელება მოითხოვს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების გაძლიერებას, მის შესაბამის სტრუქტურულ მოწყობას, კვალიფიკაციური ადამიანური რესურსის მოძიებასა და ჩართვას სამსახურის საერთაშორისო ამოცანების წარმატებით განხორციელების პროცესში.

## დასკვნა

აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული მიზნების, პრიორიტეტული მიმართულებებისა და მასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელება ორგანიზაციას განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლის საშუალებას მისცემს.

სამსახურის სტრატეგიის დოკუმენტის საფუძველზე განსაზღვრული სამოქმედო გეგმა ყოველწლიურად გადაიხედება, შემუშავდება ანგარიში შესრულებული საქმიანობის შესახებ და განახლდება ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე.



+995 32 223 44 10



[info@insurance.gov.ge](mailto:info@insurance.gov.ge)



[letters@insurance.gov.ge](mailto:letters@insurance.gov.ge)



საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური • ISSSG



თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3 საქართველო, 0162



საქართველოს  
დაავადების სახელმწიფო  
ზედამხედველობის სამსახური